

სსიპ „სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი“

სს „კრედო ბანკი“

მემორანდუმი

სს „კრედო ბანკში“ არსებული ვაკანსიების
სსიპ „სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სტუდენტებისა და
კურსდამთავრებულებისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე

სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

და

სს „კრედო ბანკ“-ს

შორის

21 სექტემბერი 2018 წ.

ქ. ახალციხე

ერთის მხრივ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში "უნივერსიტეტი"), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნისათვის წარმოადგენს მისი რექტორი მაკა ბერიძე და მეორეს მხრივ ს.ს. „კრედო“. (შემდგომში - „კრედო ბანკი“) წარმომადგენელი მისი ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის ნათია მიხანაშვილის სახით, საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1 მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა სურვილი, რათა „უნივერსიტეტსა“ და „კრედო“-ს შორის შესაძლებელი გახდეს ურთიერთობების დამყარება, რომელიც მიზნად ისახავს „კრედოში“ არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის/კურსდამთავრებულებისთვის მიწოდებას.

მუხლი 2 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. ამ მემორანდუმით დასახული მიზნის მისაღწევად „კრედო“ გამოთქვამს სურვილს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და მხარეთა მიერ დამატებით შეთანხმებული კომუნიკაციის საშუალებით პერიოდულად მიაწვდის უნივერსიტეტს ინფორმაციას კრედოში არსებული ვაკანსიების შესახებ.

2.2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თავის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მათთვის ხელმისაწვდომი გზებით (უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, სოციალური ქსელებისა და სხვ. მეშვეობით) კრედოში არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

2.3. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად კრედო არ იღებს არანაირ ვალდებულებას უნივერსიტეტის სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმებაზე და სტუდენტების/კურსდამთავრებულების შემდგომი შესაძლო დასაქმება დამოკიდებული იქნება მხოლოდ მათ უნარებზე და შედეგებზე, რომელსაც ისინი გამოავლენენ შესაბამისი ვაკანსიისთვის შესარჩევ საკონკურსო პროცესში, სხვა ყველა კანდიდატთან თანაბარ პირობებში.

მუხლი 3 მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის ვადით. მემორანდუმის მოქმედების ვადა შეიძლება შეწყდეს, მემორანდუმზე ხელმოწერი რომელიმე მხარის სურვილით. მემორანდუმი წარმოადგენს მხოლოდ მხარეთა სურვილს და არ იწვევს რაიმე ვალდებულებას. მემორანდუმის მონაწილე მხარეების მიერ ამ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან 30 დღით ადრე წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 4 სხვა პირობები

- 4.1. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.
- 4.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

წინამდებარე მემორანდუმის პირობებზე შეთანხმების დასადასტურებლად მემორანდუმს ხელს აწერენ:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი : მაკა ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ს/კ 424066977

მისამართი ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ # 113

[Handwritten signature]



ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი : ნათია მიხანაშვილი

სს. „კრედიო ბანკი“
ს/კ 205232238

მისამართი: ქ. თბილისი, რ.თაბუკაშვილის ქ. N27

[Handwritten signature]

